



შირაქი

SHIRAKI

www.open.ge

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№34 (9.599)

7-14 სექტემბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

რთველი დაიწყო!

პედაგოგთა, როგორც ღარბი, უფრო მიზიდვით ხდება...



საუკუნეების მანძილზე რთველი საპარტიკოლო ბა-რაქსა და სინარქულიან ასო-ცირქეპოლა, თუმცა, აქვე წლებში შექმნილმა არცთუ სახარბილო სიტუაციამ გვი-

გლეს ვენახის ბარბისი გა-დაწყვიტა. რადგან რთველი ქართვი-ლი კაცისთვის ყოველწლიურ თავეს ტკივილს უფრო წარ-მოადგინდა, ვიდრე ბიზნესს.

ახლავე მთავრობამ რთველის წარმოება ახლა-გურად, წინა წლებთან გან-სხვავებულად გააღწვიტა. იმეტი, რომ აღნი წარმოება ვაუჩარბის გაცემა არაუფ-

ქტური იყო, სოლო მღვინე-ბის, მანარბიბის თუ საზარო მოხელეებისთვის წარმის იძულებით მიჩიქვა - დანა-გაუღი.

“რთველი 2013” დედო-ფლისწყაროში უკვე დაიწყო. წელს აქ გაცილებით მეტ ყურ-ქენს ელიან, ვიდრე წინა წლე-ბში. წლების განმავლობაში აქილევსის ქუსლად ქცეული პროდუქციის რეალიზაციის საკითხიც გადანყვეტილია და ხელისუფლების უხეში ჩარევის მექანიზმიც მოხსნილი. ადრეუ-ლი ჯიშების ჩაბარება დაიწყო კახეთში, ფასი კილოგრამზე 1 ლარია. გლეხები ამბობენ, რომ ეს მევენახისთვის საკმაოდ კარგი ფასია. თუმცა ფასებს მაინც ბაზარი, მოთხოვნა-მიწო-დება განსაზღვრავს. სახელ-მწიფო მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებს მევენახესა და მწარმოებელს შორის. კერ-ძოდ, მევენახემ ორი დღით ადრე უნდა აცნობოს სოფლის რწმუნებულს, რომ მას ყურძნის ჩაბარება სურს. ამის თაობაზე ინფორმაცია რწმუნებულმა უნდა მიაწოდოს შტაბს, რომე-ლიც შესაბამის ღვინის ქარხნე-

ბს დაუკავშირდება. რთველისთვის მზადება სო-ფლის მეურნეობის სამინისტრომ რამდენიმე თვის წინ დაიწყო. ეწყობოდა სამუშაო შეხვედრე-ბი ღვინის მწარმოებლებთან, ღვინის ასოციაციის წევრებთან, მევენახეებსა და დამოუკიდე-ბელ ექსპერტებთან. გადანყდა, რომ არ მოხდებოდა მცირე და დიდი ფართობებიდან მიღებუ-ლი ყურძნის დიფერენცირება და მწარმოებელი და მცირე ფერმერე-ბი თანაბარ პირობებში იქნებო-ბან. ახლებური მიდგომით, 1 ლარად ან მეტ ფასად ყურძნის შესყიდ-ვისას, სახელმწიფო პირდაპირი დახმარების წესით ღვინის კომ-პანიებს თანხით შეეძვლება - სუბსიდი მათთვის ყოველგვარი ვაუჩერის გარეშე გაცივმა. 1 კგ რქანითელსა და კახურ მწვანე-ზე სუბსიდი 40 თეთრი, ხოლო 1 კგ საფერავზე - 25 თეთრი იქნება. რთველთან დაკავშირე-ბით, შეღავათიანი აგროსესხე-ბის პროექტს მე-5 კომპონენტი დაემატა, რომელიც გულისხმ-ობს შეღავათიან სესხებს ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის.

(დასასრული გვ. 4)

„ადვინისტრაციული ხარჯები მნიშვნელოვნად უზარადაცირა...“

მოსახლეობას პირველი სა-ჯარო ანგარიში დედოფლისწყა-როს მუნიციპალიტეტის გამგე-ბელმა ირაკლი შიოლაშვილმა ტელეკომპანია “ობიექტივის” პირდაპირ ეთერში, თოქ-შოუ “დედოფლისწყაროს საათში” სტუმრობისას ჩააბარა. გამგე-ბელმა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე კომენტარი გა-აკეთა. ირაკლი შიოლაშვილმა სატელეფონო ჩართვების მეშ-ვეობით სხვადასხვა სოფლების მაცხოვრებელთა შეკითხვებსაც უპასუხა.

- ბატონო ირაკლი, რეგიონულ მედიამ გაუღერდა ინფორმაცია, თითქოს დედოფლისწყაროში რა-მდენიმე სოფლის რწმუნებულის გათავისუფლება რელიგიური ნიშნით მოხდა... რა კომენტარს გააკეთებთ ამგვარ ბრალდებე-ზე?

- დავინებ იმით, რომ მხო-ლოდ სოფელ ფიროსმანის რწ-მუნებულთან დაკავშირებით გავრცელდა ამგვარი ინფორ-მაცია, თუმცა მინდა გითხრათ, რომ მისი რელიგიური მრწამსით არც მაშინ დავინტერესებულ-ვარ, როცა ის რწმუნებულად დავინებე და, ბუნებრივია, როცა გათავისუფლების თაობაზე გან-ცხადება დამინერა, არც მაშინ მიკითხავს, რა რელიგიის მიმდე-ვარი იყო. გათავისუფლებაც არ მომხდარა, თავისივე სურვილით დანერა განცხადება და აღნიშნა-ვდა, რომ ადგილობრივ მაცხო-ვრებლებთან ჰქონდა კონფლი-ქტური დამოკიდებულება და უმჯობესი იქნებოდა, თუ გათა-ვისუფლდებოდა და მის ადგილს სხვა კადრი დაიკავებდა. სულ ეს იყო... როგორც ჩანს, ყოფილ რწ-მუნებულს განცხადების დანერა

მეუღლესთან შეთანხმებული არ ჰქონდა და ამიტომ ასეთი გან-ცხადება მედიასთან მისმა მეუ-ღლემ გააკეთა. რაც მთავარია, ამჟამადაც სოფელ ფიროსმანის ახლადდანიშნული რწმუნებუ-ლიც მუსლიმია, ამით კი ყველა-ფერია ნათქვამი და მისი რელი-გიური ნიშნით გათავისუფლების ბრალდება გაბათილდა. თუკი მუსულმანური სარწმუნოების ადამიანებს ვავინროვებთ, ამ შე-მთხვევაში ახალ რწმუნებულსაც პრობლემები უნდა შექმნოდა.

- ამავე პერიოდში თანამდე-ბობიდან გათავისუფლებულმა სოფელ ზემო მანხანის რწმუნე-ბულმა ნოდარ ტოკლიკიშვილ-მა, რომელიც იმავდროულად რესპუბლიკური პარტიის დე-დოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარეა, რამდენჯერმე გააკეთა განცხადება, რომ ის

მოსხნეს და ეს ნაბიჯი რესპუ-ბლიკური პარტიის წარმომად-გენელთა დევნად შეაფასა. რეა-ლურად რა ვითარებაა ამ მხრივ, მართლაც აქვს “რესპუბლიკელე-ბის” შევიწროებას ადგილი?

- სამწუხაროა, რომ ასე-თი განცხადებები გაკეთდა. ამ ყველაფერზე საკმაოდ მარტივი პასული მაქვს, მოგეხსენებათ, რომ დედოფლისწყაროში გა-მგებლის პირველი მოადგილის პოსტს რესპუბლიკელი აკაკი ნატროშვილი იკავებს, ასე რომ, თუკი რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლების დასუსტება გვსურდა, ალბათ ჯერ მაღალი იერარქიიდან დავინებდით და ტოკლიკიშვილზე ადრე მოად-გილეს დავითხოვდით. სხვა ინ-ფორმაციებიც გაუღერდა, რომ თითქოს ამ სოფლებში სპეცია-

ლურად არ იწყებოდა სოფლის პროგრამის თუ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუ-შაოები, რაც აბსურდია.

- ახლანა, საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლებზე პრემიები კიდევ გაცემა... გასულ წელს კახეთის მასშტაბით დე-დოფლისწყაროში ყველაზე მეტი პრემია გაცივებოდა, ამჯერად რა ვითარებაა ამ კუთხით?

- წლის დასაწყისში უკვე ვა-ცხადებდით, რომ წელს დედო-ფლისწყაროში პრემიების გაცი-ვის რიცხვი შემცირდებოდა. 4-ის ნაცვლად წელს თვითმმართვე-ლობის ორგანოებში პრემია 2 ჯერ გაცივმა. თუმცა, მინდა გი-თხრათ, რომ პრემიების გაცივის პრინციპიც შეცვალეთ. ამ ორ-ჯერ გაცივული პრემიის გარდა,

(დასასრული გვ. 3)

ახალი აუფი-დედოფლისწყაროს ბავაბალებს

83. 2

ანსამბლი „შირაქი“ საფრანგეთიდან დაბრუნდა

SHIRAKI
Georgian folk dance company

83. 6

სექტემბრიდან საქართველოში პენსია გაიზარდა

83. 2

ყველაზე სადო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლანის შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტანდარი - ყველაფერი
- მხოლოდ რვეთან!

ის, რასაც სხვაბან ვერ ნაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

ბიძინა ივანიშვილი - თუ მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს, პრემიერის თანამდებობას უფრო სწრაფად დავტოვებ

„თუ საპრეზიდენტო არჩევნებში მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს, პრემიერის თანამდებობას უფრო სწრაფად დავტოვებ“,- ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, მარგველაშვილის დამარცხების შემთხვევაში ის ჩათვლის, რომ მისი ვალდებულებები შესრულებულია.

„მგონია, რომ ჩემი ანალიზით გიორგი მარგველაშვილი უაღრესად რეალისტურად და აუცილებლად გაიმარჯვებს. სხვა გეგმა, თუ მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს, არ მაქვს. ასეთ შემთხვევაში მე ვფიქრობ, რომ მე ყველა გზა გახსნილი მექნება, პრემიერის თანამდებობას უფრო სწრაფად დავტოვებ და რატომ უნდა, იმ ვალდებულებებზე, რომლებსაც მე ვიღებ, რომ აქტიური ვიქნები საზოგადოებასთან ერთად 20 წელი, ალბათ, ამაზე უარს თქმა მომიწევს. ასეთ შემთხვევაში ჩემი წერილი ყირაზე დგება. ის, რაზეც მე მაქვს პრეტენზია, რომ კარგი ანალიზი ვიცი და სწორი ხედვები მაქვს, სწორ პროგნოზებს ვაკეთებ, აღმოჩნდება, რომ თურმე ეს დრო დასრულებულია და საზოგადოების ნდობა არ არსებობს, მე ჩავთვლი რომ ჩემი ვალდებულებები შესრულებული მექნება, სადაც მომიწდება იქ ვიცხოვრებ და რასაც მომიწდება იმას ვაკეთებ. ჩავთვლი, რომ ჩემი მისია შემსრულებია და მე ვიქნები თავისუფალი“,- განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ბიძინა ივანიშვილი - არვიცი რატომ ჩნდება ეჭვი, რომ მთავრობა კულისებიდან უნდა ვმართო

„არვიცი, რატომ ჩნდება ეჭვი, რომ მთავრობა კულისებიდან უნდა ვმართო. რატომ უნდა მქონდეს ამის სურვილი. კულისებიდან მართავენ და ცდილობენ მართვას ისინი, ვინც ვერ ახერხებენ ფორმალურად მოვიდნენ პოლიტიკაში და გახდნენ ლიდერები, მე ეს ძალიან კარგად ვიცი მოვასწარებ“- განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ გამართულ პრესკონფერენციაზე.

„რატომ უნდა გავგებოდე თუ ოდნავ მაინც აქცევთ ყურადღებას ჩემს მოღვაწეობას პოლიტიკაში მოსვლის შემდგომ, ან მანამდე. ესლა რა ხდება, უნდა ნავიდე სადღაც და ჩირგვებიდან ვმართო, რატომ უნდა მოხდეს ეს? თუ მართვის სურვილი მაქვს, რატომ უნდა გავგებოდე? რასაც ჩვენი ოპოზიციონერები გამოთქვამენ „ნაციონალური მორაობიდან“, რომ ეშინია, გარბის, არ შეასრულა. ძალიან გთხოვდით ჟურნალისტებს, რომ თქვენით დამისვით შეკითხვა და არა მათგან, რა არ შეეასრულეთ, სად იკვებება, რომ მეშინია და გავრბივარ. როდესაც პირდაპირი მნიშვნელობით სიცოცხლისთვის საშიში იყო, ზუსტად მაშინ შემოვედი მე პოლიტიკაში და თუ შიშობა ვიყავი, ვერ გავებოდე“- აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მისი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ისეთ მთავრობას დატოვებს, რომელიც ქვეყანას ეფექტურად მართავს.

გალფის მძარცველი დააკავეს?!

პოლიციამ დედოფლისწყაროში „გალფის“ ბენზინგასამართი სადგურის გაქურდვის საქმე გახსნა. დანაშაულში ეჭვმიტანილი, 1979 წელს დაბადებული, მრავალჯერ ნასამართლევია, გიორგი ჯ. ოპერატიულ სამძებრო ლონისძიებების შედეგად დააკავეს. სამართალდამცველებმა ის ქალაქ თბილისში, დაისის ქუჩაზე აიყვანეს.

როგორც შსს-ს პრესცენტრიდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, ამოღებულია ნივთმტკიცება, აკაემის ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ნიღაბი და ზურგჩანთა.

სისხლის სამართლის საქმე 179-ე მუხლითაა აღძრული, გამოძიებას შსს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს. დაკავებულს ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ხუთიდან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

„გალფის“ ავტოგასამართი სადგური დედოფლისწყაროში 29 აგვისტოს დააყარა. ინფორმაცია „შირაქსმა“ ექსკლუზიურად გაავრცელა. შეგახსენებთ, სალაროდან დაკარგული თანხა 200 ლარს არ აღემატება.

სექტემბრიდან საქართველოში პენსია გაიზარდა

სექტემბრიდან საქართველოში პენსია გაიზარდა - ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა. დავით სერგეენკოს ინფორმაციით, პენსიები 20-50%-ით გაიზარდა.

მაგალითად, ასაკით პენსიონერები ამიერიდან 125 ლარის ნაცვლად, 150 ლარს მიიღებენ. იზრდება პენსია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისაც.

მინისტრის განცხადებით, საპენსიო უზრუნველყოფისთვის გაიზარდა ბიუჯეტიც და ამიერიდან მთავრობა ამ მიზნით 35 მილიონ ლარით მეტს, ანუ თვეში თითქმის 111 მილიონ ლარს დახარჯავს.

ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარი პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

„ეს არ ყოფილა რეიდები, ეს იყო ერთკვირიანი პრევენციული ღონისძიებები. კიდევ ერთხელ მინდა საზოგადოებას გულწრფელად მოვუხადო ბოდიში უხერხულობისთვის, თუმცა განვმარტავ, რომ ჩვენს მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებები ემსახურებოდა ისეთი მძიმე დანაშაულების გამოვლენას და ეს მოვახერხებთ კიდევ, როგორცაა ცივი და ცივ-ცხლსასროლი იარაღების ამოღება, ნარკოდანაშაული და სხვა. ეს იყო პრევენციული ღონისძიებები და არა კლასიკური გაგებით რეიდები, რომელიც ჩვენ ოპონენტებს ახსოვთ, აღნიშნულიდან გამომდინარე ის სპეკულაციები და ცინიზმი, რაც უმცირესობის მხრიდან ისმის, სასაცილოა. პრევენციული ღონისძიებები უკვე დასრულებულია.“

მინდა მოქალაქეებს თანამშრომლობისთვის მადლობა გადავუხადო — ირაკლი ღარიბაშვილი

ახალი ავეჯი - დედოფლისწყაროს ბაგა-ბალებს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბაგა-ბალებში, რამდენიმე ხნის წინ გადასახადი გაუქმდა. გადასახადის გაუქმებასთან ერთად, გამგეობამ სკოლამდელ აღსაზრდელ დაწესებულებებს ახალი ინვენტარი გადასცა. კერძოდ: სკამები, მაგიდები, კარადები და სანოლები. ავეჯი უკვე გადაეცა მუნიციპალიტეტის სოფლების: ზემო მაჩხანის, მირზანის, არბოშის, გამარჯვების, სამრეკლოსა და ქალაქის 4 ბაღს. ორშაბათამდე ახალ ინვენტარს მიიღებენ, ქვემო და ზემო ქედში, არხილოსკალოსა და ფიროსმანში.

ივლისის თვეში, რაიონის სკოლამდელი და სკოლისგარეშე ცენტრის ხელმძღვანელობამ საბნები, ლეიბები, ადილეები, ქვაბები, ტაფები და სხვა უამრავი ნვრილმანი დაასანყობა და სასწავლო წლის განახლებისთანავე განაწილდება.

შეგახსენებთ, რომ წელს რაიონის 17 ბაღიდან რეაბილიტაცია 12-ს უტარდება და ახალ სასწავლო წელს ყველა ბაღი ნახევრად განახლებული ინვენტარით შევსდება.



მაია ფანჯიკიძე-კარასინის განცხადება რუსეთის მიერ ბოლო დროს გადაგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს ეწინააღმდეგება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეფასებით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადება რუსეთის მიერ ბოლო დროს გადაგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს ეწინააღმდეგება.

ამის შესახებ ფანჯიკიძემ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის განცხადების კომენტარებისას განაცხადა, სადაც ის ამბობს, რომ საქართველოს მთავრობა რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებისთვის მზად არ არის.

„ეს თავად რუსეთის მიერ ბოლო დროს გადაგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს ეწინააღმდეგება, ისევე როგორც მათულობის თემა და სხვა ყველაფერი, რაზეც ჩვენ ბოლო პერიოდში გვექონდა გამახვილებული ყურადღება. მაგრამ აშკარაა, რუსეთის განწყობაც, რომ დალაგოს ურთიერთობები საქართველოსთან, გვაქვს კონკრეტული შედეგები და თავად ამ პროცესების მიმართ არის არაადეკვატური ქმედება, თუ გნებავთ მათულობის საკითხში და თუ გნებავთ განცხადებებით“,- აღნიშნა ფანჯიკიძემ.

ბიძინა ივანიშვილი - მართლმადიდებელი ეკლესიის მოგიერთი მსახური სახელმწიფოს ფუნქციაში ნუ ჩაერევა

„ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ხელი შევუწყობთ მის განვითარებას, მაგრამ ეკლესიის ზოგიერთმა მსახურმაც კარგად უნდა გაიგოს, რომ არ აქვთ უფლება სახელმწიფო ფუნქციები შეითავსონ და შესატყვისი განცხადებები უნდა გააკეთონ“- განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ გამართულ პრესკონფერენციაზე.

„ჩვენ უდიდეს პატივს ვცემთ ჩვენს რელიგიასა და ეკლესიას, მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურები სახელმწიფოს ფუნქციებში ნუ ჩაერევიან“- აღნიშნა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, არ შეიძლება, დილით გაღვიძებულ ადამიანს უკანონოდ მიშენებული მინარეთი დახედოს. თუმცა, მისი თქმით, მინარეთის ფარულად აღმართვა იმაზე მეტყველებს, რომ მეჩეთებთან მიმართებაში საქართველოში პრობლემა არსებობს.

„არ შეიძლება ისე მოიქცეთ, რომ დილით გავიღვიძოთ და მინარეთი დგას, რომელიც არავისთან შეთანხმებული არ არის, პროექტი არ არსებობს, ადგილობრივი თვითმმართველობა საქმის კურსში არ არის. რატომ გახდნენ ისინი იძულებულნი, რომ ეს ერთ ლამეში გაეკეთებინათ? აქ მიჩნდება მე კითხვა. არსებობს რელიგიური პრობლემა, რომ საქართველოში მეჩეთი აშენდეს? ვფიქრობ, რომ ზოგიერთი ჩვენი მუსლიმი თანამოქალაქე ამას ობიექტურად განიცდის, რამეთუ საბჭოთა კავშირისა და 9-წლიანი ძალადობრივი მმართველობის შემდგომ შესაძლოა, ის ბუნებრივად, რაც იყო, დაიკარგა, ბალანსი რაც არსებობდა, დაირღვა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ახალი არჩევნების შემდეგ ეს პროცესი გაიოლდება. ძალიან მტკივნეული თემაა, როდესაც ხდება დემონტაჟი, ჯობდა ალბათ უფრო ფაქიზად მოქცეულიყვნენ. ჯობდა - სათქმელად იოლია. ჯობდა, მაგრამ როდესაც გვევალება, გინევს უხეში საქმის გაკეთება. თუმცა ეს სასამართლო არ არის არც ჩემთვის. მე ვფიქრობ, კოპაბიტაციის პროცესი დასრულებულია და ასეთი გაუგებრობები სულ მალე დასრულდება საქართველოში. მგონია, რომ ძალიან ხშირად ხელოვნურად არის ინსპირირებული, ძალიან მალე ბუნებრივად დალაგდება, გარანტიასაც მოგვცემთ, რომ ასე იქნება“- განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

შეგახსენებთ, 26 აგვისტოს, სამცხე — ჯავახეთში, ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში პოლიციელების ჩარევით მეჩეთის მინარეთის დემონტაჟი განხორციელდა, რასაც დაპირისპირება მოჰყვა. არსებული ინფორმაციით, დააკავეს 21 ადამიანი. სამ პირს 400 ლარიანი ჯარიმა შეუფარდათ. ამ დროისთვის ყველა მათგანი თავისუფალია.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ინდ/მენარმე ჯამბულ აბულაძემ 14 ივლისს, მინარეთის ასანყობი ლითონის კონსტრუქცია საქართველოში თურქეთის რეპუბლიკიდან შემოიტანა. მინარეთის კონსტრუქციის ნონა და სასაქონლო კოდი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს დეკლარირებულ მონაცემებს, ამიტომ შემოსავლების სამსახურის განდევნილებით, 26 აგვისტოს მოხდა მისი დემონტაჟი. მათივე ცნობით, მინარეთის კონსტრუქციის დემონტაჟს და შემდგომ მის აღდგენით სამუშაოებს შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს.

სამატრიარქოს და სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეთანხმების თანახმად, სოფელ ჭელაში არსებულ მეჩეთზე მოხსნილი მინარეთი საკანონმდებლო ბაზის მონერსივებამდე ქელას ტერიტორიაზე დასაწყობდა და დაილუქა.

„ადმინისტრაციული ხარჯები მნიშვნელოვნად უმცირესდება“

(პირველი გვერდიდან)

მოტივაციის გაზრდისა და ნახა-
ლისების მიზნით დამატებით,
პერიოდულად, აქტიურ თანამ-
შრომლებზე სხვა შემთხვევებშიც
გვექნება პრემიების გაცემის შე-
საძლებლობა და ამისათვის ადგი-
ლობრივ ბიუჯეტში დამატებითი
თანხების მოძიება დაგეგმილია.
ჩემი მიდგომა თავიდანვე ასე-
თი გახლდათ. პრემიის გაცემა
ყველა თანამშრომელზე ერთი
პრინციპით არ უნდა ხდებოდეს.
ამიტომაც ცვლილებები გახდა
საჭირო. რაც შეეხება ადმინის-
ტრაციულ ხარჯებს, იცით, რომ
ის უკვე შევამცირეთ. მაგალი-
თად სატელეფონო თუ სხვადას-
ხვა სახის ხარჯები არა მხოლოდ
მე, არამედ თანამშრომლებსაც
შეუმცირდათ და აღარ აქვს მას
ისეთი გაუგებარი სახე, როგორც
ეს მანამდე ხდებოდა.

- ენ. „შირაქის“ დასახლებაში
მაცხოვრებლები თითქმის პირ-
ველყოფილ წყობილებაში ცხო-
ვრობენ, მათ ნათურა ვერ ელირ-
სათ და დღესაც ჭრაქის შუქზე
ცხოვრობენ. დეპუტატი ლექსო
თამაზაშვილი მათ ელექტრომო-

მარაგებას დაპირდა, ვიცი, რომ
ამ მხრივ კონკრეტული ნაბიჯები
გადაიდგა...

- რამდენიმე კვირაში ენ.
„შირაქის“ დასახლების მაცხო-
ვრებლებისთვის ამერიკული
მხარის დაფინანსებით მზის
ენერჯის ბატარიები დამონტა-
ჟდება, რომლის მეშვეობითაც
ყველა ოჯახი ელექტროენერ-
გიას მიიღებს. ეს მათთვის დიდი
შეღავათი იქნება, რადგან, მათ
ელექტროენერგია ამ დრომდე
არასოდეს ჰქონიათ. ასე რომ, ეს
პრობლემა სულ მალე გადაიჭრე-
ბა.

- მაცურებლის სატელეფონო
კითხვა შემოვიდა ქედების ზონის
გაზიფიცირების პერსპექტივას-
თან დაკავშირებით, რა იგეგმება
საზღვრისპირა სოფლების ბუნე-
ბრივი აირით მომარაგებასთან
დაკავშირებით?

- ვიცი, რომ კომპანია „სოკა-
რი“ ამ საკითხზე აქტიურად მუ-
შაობს. თუმცა, ცნობილია, რომ
აზერბაიჯანის სასაზღვრო სო-
ფლებში გაზის წნევა ძალზე და-
ბალია, ამდენად კომპანია ჩვენი
სოფლების ბუნებრივი აირით
საზღვრიდან მომარაგებას ვერ

ახერხებს და ამიტომაც გაჭია-
ნურდა პროცესი. უმჯობესია,
ქედების ზონა და სამთაწყარო,
ფიროსმანი და საბათლო ბუნე-
ბრივი აირით დედოფლისწყარო-
დან მომარაგდეს და მაგისტრალი
რაიონული ცენტრიდან გაიყვა-
ნონ. ისიც მოგეხსენებათ, რომ ამ
სოფლების გაზიფიცირება არა-
სოდეს მომხდარა. ვფიქრობთ, ეს
საკითხიც მალე მოგვარდება.

- თითქმის ყოველდღიურად
ხარვეზებია დედოფლისწყაროს
და მისი სოფლების ენერგომო-
მარაგებაში, რაზეც მოსახლეობა
სამართლიან საყვედურს გამო-
თქვამს...

- სამწუხაროდ, შეზღუდვები
გვაქვს, რისთვისაც მოსახლეო-
ბას ბოდიში მინდა მოუხადოთ,
მაგრამ ამას თავისი დადებითი
მხარეც აქვს. უნდა ითქვას, რომ
დედოფლისწყაროში საშვილიშ-
ვილო საქმე კეთდება. დაიწყო
ენერგო ბოძების გამოცვლის
მასშტაბური სამუშაოები, რაც
დედოფლისწყაროში არასოდეს
მომხდარა. ისიც კარგად მო-
გვეხსენება, რომ სწორედ ბო-
ძების ამორტიზებულიობის გამო
პატარა სიოს წამოქროლვის შე-



დედოფლისწყაროში პარტიული
და რელიგიური ნიშნით დევნას
ადგილი არ აქვს.

მთხვევამაც კი ხშირად დედო-
ფლისწყარო ელექტროენერჯის
გარეშე რჩებოდა. იმისათვის,
რომ ეს პრობლემა ერთხელ და
სამუდამოდ გადაიჭრას, ბოძების
შეცვლის სამუშაოები დაიწყო.

მას მოლიანად სს „კახეთის ენერ-
გოდისტრიბუცია“ აწარმოებს და
დიდი მადლობა მათ ამ კეთილი
საქმისთვის.

ილია მარტყოფლიძე

106 წელი ფიჭაშვილიდან

1907 წლის 30 აგვისტო (12
სექტემბერი) ილია ჭავჭავაძის
მკვლელობის დღეა. ზუსტად 106
წლის წინ წინამორბედი-საგურამოს
გზაზე მოკლეს ადამიანი, ვისი და-
ლისსმების გარეშე საქართველო
ვერც დამოუკიდებლობას მოი-
პოვებდა და ვერც თანამედროვე
ერ-სახელმწიფოდ ჩამოყალიბდ-
ებოდა.

მკვლელობა ძველი სტი-
ლით 1907 წლის 30 აგვისტოს
მოხდა. მეორე დღეს ქართულ-
მა ყოველდღიურმა ლიტერა-
ტურულ-პოლიტიკურმა გაზეთ-
მა „ისარმა“ გამოაქვეყნა მოკლე
ცნობა: „საგურამოს გზაზე
მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და
დაუჭრიათ მისი მუცელი“.

„კილურმა“ იცოდა ეტლს სად
გააჩერებდნენ, ხოლო გიგლა
ბერბიჭაშვილის ჯგუფმა კი არ
იცოდა, რომ ტყეში მკვლელი
იყო...

ისტორიკოს ვახტანგ გურუ-
ლის თქმით, მკვლელობის მიზა-
ნი არ ყოფილა არც ძარცვა და
არც უკმაყოფილო გლეხობის შუ-
რისძიება. მკვლელობა განხორ-
ციელდა რუსეთის სოციალ-დე-
მოკრატიული მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტის დაკვე-
თით, მკვლელობის ორგანიზე-
ბა კი სერგო ორჯონიკიძესა და
ფილიპე მახარაძეს დაევალიათ.
სწორედ მათ გადაიბირეს ყაჩა-
ლობასა და ტერორში შემჩნეუ-
ლი გლეხების ჯგუფი, თუმცა
ვახტანგ გურული ამტკიცებს,
რომ მკვლელობა არა ამ ჯგუფ-
მა, არამედ მახარაძე-ორჯონიკის
მიერ დაქირავებული ტერო-
რისტმა განახორციელა:

„კილურმა“ იცოდა ეტლს
სად გააჩერებდნენ, ხოლო გი-
გლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა კი
არ იცოდა, რომ ტყეში მკვლელი
იყო. სოციალ-დემოკრატებს უნ-
დოდან 100 პროცენტისანი გა-
რანტია, რომ ილია მოკვდებოდა.
ხშირად ხდებოდა, რომ ფულს აი-
ღებდნენ ნაძირალა-მკვლელები,
მაგრამ ბოლოს ფულს ჩაიჯიბა-
ვდნენ და გარბოდნენ. ამიტომ
მათ იმედად საზღვარგარეთ
მყოფი ლენინი და სხვები - მათ
შორის, ფილიპე მახარაძე და
სერგო ორჯონიკიძე - ვერ იქნე-

ბოდნენ. მათ უნდოდან 100 პრო-
ცენტისანი გარანტია, რომ ილია
იმ დღეს მოკვდებოდა.“

ილიას სიკვდილი დააფიქსირა
დუშეთის მაზრის ექიმმა იაშვილ-
მა, რომელმაც გვამის გაკვეთის
შედეგად დაადგინა:

„1. მკერდზე მარჯვენა ძუ-
ძუსთან შიგნით მოხვედრილი
ტყვია გასულა უკან მარცხენა
ხელის ილიასთან. ამ ტყვიას
დაუფლეთია გული და მარცხენა
ფილტვი. 2. შუბლზე ოვალური
ფორმის ჭრილობა ძვლამდე, სი-
ღრმით 4 სანტიმეტრი. აქ ძვალი
გამტვრეულია 1,5 ვერსოკზე. 3.
მარჯვენა ნარბეზდაც ასეთივე
ჭრილობა. პირველი ორი ჭრილო-
ბა სასიკვდილოა, მესამე - არა.“

ილიამ შექმნა ახა-
ლი ქართული ენა,
დემოკრატიული და
ყველასთვის ხელმი-
საწვდომი ენა. ეს იყო
აუცილებელი საშუა-
ლება იმისთვის, რომ
გაერთიანებულიყო
ქვეყანა და შექმნილი-
ყო ახალი იდენტობა -
ქართველი!..

თუმცა მკვლე-
ვრები ამტკიცებენ,
რომ ილია ჭავჭავაძის
სხეულში ტყვია არა
მკერდიდან, არამედ
ზურგის მხრიდან შე-
ვიდა. ვახტანგ გურუ-
ლი ნატყვიარის ანა-
ლიზის საფუძველზე
ასკვნის:

„შესვლის ადგილას ტყვიამ
დატოვა წვრილი ხვრელი, და-
ახლოებით ნეკა თითის სიძის-
ხოლო გამოსვლის ადგილს მკერ-
დზე - ორი გოჯის სიდიდისა.
ეს კიდევ ერთხელ ადასტურე-
ბს იმას, რომ გასროლა მოხდა
ზურგის მხრიდან. ტყვია ვინრო
ხვრელს ტოვებს შესვლის ად-
გილზე, ხოლო სხეულიდან გა-
მოსვლის ადგილს გამოგლეჯს.“

ვახტანგ გურულის თქმით,
ტყეში დამალულმა მკვლელმა
ილიას ზურგში მაშინ ესროლა,
როცა ბერბიჭაშვილი და სხვა ყა-
ჩალები ილიას ერთგული ლაქის
იაკობ ბითარაშვილის დევნით
იყვნენ დაკავებული. ამიტომ იყო,

რომ ბერბიჭაშვილი სასამართლო
პროცესზე ბოლომდე უარყოფდა
ილიას მკვლელობას. ამონარიდი
სასამართლო სხდომის მასალები-
ბიდან:

„შენ რას უყურებო? რო არ
მიხვდარიყვნენ, მეც ავიღე და
ვისროლე ზევით. ეს მოხდა. მერე
გადაცვიდნენ ტყეში. ხიზანიშ-
ვილმა დაავლო ხელი ჩემოდანს
და მითხრა, ეს რა არისო. ვნახე
კაროკა. კაროკაში იყო რალაც
ლილეები და ბეჭდები. სათვალე-
ბიც ავიღე და მივანოდე. ინაშ-
ვილმა თქვა, არაფერი დაიკარ-
გოსო. ყველაფერი გამომართვა.“

გიგლა ბერბიჭაშვილთან ერ-
თად თავდასხმაში ხუთი კაცი მო-
ნანიღობდა. რუსეთის სოციალ-

დომარე. ი. გ. ჭავჭავაძე არის
თვალსაჩინო ჭკუისა და მდგო-
მარეობის პატრონი, დიდი ავტო-
რიტეტის მქონე ქართველებში,
საერთოდ, და განსაკუთრებით
თავისუფლად მოაზროვნეთა
შორის. დადის ხმები, რომ დრო-
გამომეებით მასთან იმართება
საიდუმლო კრებები, სადაც ირ-
ჩევა საზოგადოებრივი და სო-
ციალური ხასიათის სხვადასხვა
საკითხები.“

სწორედ ილია ჭავჭავაძის
იდენტობა და ძალისხმევით ერ-
თიანდება საქართველო, რომე-
ლიც რუსეთის იმპერიაში თბილი-
სისა და ქუთაისის გუბერნიად
იყო დაშლილი. პროფესორ ლევან
გიგინეიშვილის თქმით, ილიას
მეცადინეობას უნდა
ვუმადლოდეთ იმას,
რომ აღმოიფხვრა კუ-
თხური და სოციალური
დაქუცმაცებულობა,
გავრცელდა განათლე-
ბა და შეიქმნა ახალი
იდენტობა:

„ორი ტიპის გაერ-
თიანება იყო საჭირო:
ერთი ვერტიკალურ
დონზე, ანუ წოდებებს
შორის, რათა ქართვე-
ლი უფრო მნიშვნე-
ლოვანი იყოს, ვიდრე
გლეხი ან ფეოდალი;
მეორე არის შორი-
ზონტალურ დონეზე
გაერთიანება, რათა
იმერულზე, გურულზე
ან მეგრულზე უფრო

მნიშვნელოვანი იყოს იდენტობა
ქართველი. რითი მაღლია ამას
ილიამ? რა თქმა უნდა, ენის შე-
ქმნით. ილიამ შექმნა ახალი ქარ-
თული ენა, დემოკრატიული და
ყველასთვის ხელმისაწვდომი ენა.
ეს იყო აუცილებელი საშუალება
იმისთვის, რომ გაერთიანებული-
ყო ქვეყანა და შექმნილიყო ახა-
ლი იდენტობა - ქართველი!“

ილიას ძალისხმევითვე
მოხერხდა მონარქის ჩანაცვლება
მამულით, ანუ მამულის ერთგუ-
ლებით, შეიქმნა სამოქალაქო სი-
ვრცე გაზეთებისა და თეატრის
სახით. ილიას სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის რექტორი გიგი თე-
ვაძე ილია ჭავჭავაძის უმთავრეს



რთველი დაიწყო! პეღვიანობა, როგორც ღარი, უფრო მიფიჭველი ხდება...

(პირველი გვერდიდან)

15-თვიანი, 12%-15%-იანი სესხის 9%-ს სახელმწიფო ფარავს.

დედოფლისწყაროში შექმნილია სპეციალური შტაბი, რომელიც კოორდინირებს უნვეს რთველის წარმატებით მიმდინარეობას. მათი ინფორმაციით, წინა წლებთან შედარებით ცვლილება არაერთია. „გაეუქმეთ ვაუჩერი და გლეხებს არ მოუწევთ ორმაგად რიგში დგომა - ვაუჩერის გასანაღებლად და კომპანიებისგან თანხის მისაღებად. ისინი ფულს ყურძნის ჩაბარებისას მიიღებენ ან საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხებათ. მეორე, ჩვენთვის მთავარია, რთველის დროს საბაზრო ურთიერთობები დავამკვიდროთ და სახელმწიფო ხისტად არ ჩაერიოს. ის არ დაადგენს ფასს და კერძო კომპანიებს კონკურენტად არ მოველინება“-აცხადებენ შტაბში.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, კერძო სექტორის ნასახლისებლად და მათი მხრიდან მოთხოვნის გასაზრდელად აგრეთვე დაწესდა მიზნობრივი შეღავათიანი სესხები, კომპანიებს ის 3%-6% დაუფდებიათ, 9%-ს კი სახელმწიფო დაფარავს. ასეთი შეღავათიანი აგროკრედიტის პირობებში მათგან ყურძენზე მოთხოვნა დაახლოებით 50%-ით გაიზარდა. მესამე, ელექტრონულად აღირიცხება ყოველი ჩაბარებული ცილოგრამი, რაც ხელს შეუწყობს სამომავლოდ ზუსტი სტატისტიკის შექმნას - რთველიც უკეთ დაიგეგმება და ხარისხის კონტროლიც გაუმჯობესდება. სრული მონაცემთა ბაზა გაკეთდება, რომელ კუთხეში რა ჯიშის ყურძენი, რამდენი და რა ფასად ჩაბარდა. ყველა სანარმოში იქნება ოპერატორი, რომელიც ამ სტატისტიკას აღრიცხავს.

ყველას კარგად ახსოვს წინა წლების ფაქტები, როცა

ძალდატანებით აბარებინებდნენ ყურძენს, მოსავლის ბაჟივსა რომ მოეხროთ, გლეხები ხშირად შიშოვს-

ვლელ ყურძენს კრავდნენ. ამდენად, ყურძენი კოლმეტირებული არ იყო და მისგან დაწესებული ღირებულება ვერ აბაყოფილებდა შესაბამის სტანდარტებს. ასეთი პრობლემის რეალიზაციაზე პრობლემა იყო. წელს რაიმედანადა დაზღვეული ღირის მხარამოვალე ამისგან? როგორც დალოფლისწყაროს შტაბში აცხადებენ, „ჩვენი ამოცანაა, სახელმწიფო არ ჩაერიოს, კომპანიებს თავად აჯალღოს ამოთხოვნის წამოყენება, ყურძენიც შემოვიღოს და ხარისხიანი იყო. შესაძლოა, გლეხი ჩაბაროს, თუნდაც, სტიქიის უფროსის, მაგრამ თუ ნაღვეული ხარისხიანი არ გვექნება, ღარი ვერ განვითარდება. ყურძენს ხარისხის განსაზღვრას წელს ღირის ძარხვის წარმომადგენლები თავად ახდენენ, ისინი შტაბიდან ყურძენს რაოდენობისა და ჩაბარების სურვილს მიწოდებენ და შიშოვს ამოწმებენ ან უარს უთხრავენ პრობლემის ხარისხს და შიშოვს“-ბას. აქედან გამომდინარე, უხარისხო ყურძენს ჩაბარების რისკი თითქმის მინიმუმამდე დაყვანილი.

ერთ-ერთი დადებითი სიახლე წლებგანდელ რთველში ისიც გახლავთ, რომ პროდუქციის ტრანსპორტირება ღირის კომპანიების მიერ ხდება.

ყველას კარგად ახსოვს, რომ გასულ წლებში გლეხებს თითქმის უხდებოდათ ყურძენს ნაღვე ღირის ძარხვით, იქ კი ბაუთავალი რიგები ბამო ხშირად პრობლემითა უზღავდებოდათ...

წელს ეს პრობლემაც დადებითადაა გადაჭრილი.

ამბობენ, რომ ყურძენზე ფასების ზრდის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი რუსეთის ბაზარზე ქართული ღირის შესვლა იყო... მხარმოვებლთა შეფასებით, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ბაზარი, სადაც ქართული ღირის

ცნობადობა ყველაზე მაღალია. დიდა ქართული დიასპორა, პოპულარულია ქართული კულინარია და რესტორნებიც ქართული ღირის გარეშე არ დარჩებიან, რაც ღირის გაყიდვის გარანტირებულ არხს ნიშნავს. თუმცა ცხადია, ეს ერთადერთი ბაზარი არ არის, ეს დამატებითი დახმარებაა.

ექსპერტთა შეფასებით, რთველისადმი ახლებური მიდგომა ამ დარგის განვითარებას შეუწყობს ხელს:

“რთველთან დაკავშირებით სახელმწიფოს შემოთავაზება აბსოლუტურად ახლებურია. პირველ რიგში, ყურძენი სიმწიფის მიღწევის შემდეგ იკრიფება, რაც ბოლო წლებში არ ხდებოდა; უფრო მკაცრად იქნება დაცული ყურძენის გეოგრაფიული ადგილწარმოშობა; უპრეცედენტოა ყურძენის ფასიც, თუ შარშანდელ შემოდგომას არ ჩავთვლით, როცა ყურძენს პოლიტიკური ფასი დაედო და მას საბაზრო ფასთან საერთო არაფერი ჰქონდა. დიდი შეღავათია, რომ სახელმწიფო ახდენს ამ ფასის დამატებით სუბსიდირებას. საკმაოდ ჭარბია მოსავალიც.

უფრო თამამად გასცემენ კრედიტებს ბანკები, რადგან სახელმწიფო მის სუბსი-



ყურძნის ხარისხის განსაზღვრას წელს ღირის ქარხნის წარმომადგენლები თავად ახდენენ, ისინი შტაბიდან ყურძნის რაოდენობისა და ჩაბარების სურვილის მიწოდების შემდეგ ჩამოდიან ადგილებზე და თვითონ ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს და შიშოვს.

დირებას ახდენს. გასულ წლებში რთველთან დაკავშირებით სესხის აღება მხოლოდ სახელმწიფო უწყებებს შეეძლოთ. გამოდიოდა, რომ კერძო სექტორს სახელმწიფო კონკურენციას უწევდა. ეს ნიშნავს, რომ მეღვივება, როგორც დარგი, უფრო მიმზიდველი ხდება”.

ამ აზრს იზარებენ გლეხებიც, რომლებიც ამბობენ, რომ ასეთი ხელშეწყობის პირობებში ტენდენცია წავა იქით, რომ ხალხი ვენახის განეხივება უარს იტყვის და მის გაშენებას დაიწყებს.

ინგა შილაშვილი

რთველი - ყურძნის დაკრეფა და დანუჩა

რთველს ძველად სთვლიდნენ ერთ-ერთ უმთავრეს მოკრეფის პროცესს მამონ ორი განსხვავებული სიტყვით აღნიშნავდნენ — მოსთვლა და მოწილა. პირველმა სახე იცვალა და შემორჩა, ხოლო მეორე თითქმის უკვდავად გაქრა. დღესაც რომ ჭურის თავზე შემოუსხდებიან და დედას პურს გასტევენ, ალბათ შარშანდელ სთვლობას გაიხსენებენ და წლებგანდელი მოსავლის დაკრეფა-დანუჩაზე ჩამოაგდებენ სიტყვას. ჯერ კიდევ მოსაზრებებზე ვენახს ძველად სასთვლებელს ეძახდნენ. ამ სიტყვის არქაული კეთილზმობაა, ჩემი აზრით, ღირისადმი, როგორც რეალური სითხისადმი მონივნებას ამჟღავნებს. ყურძნის კრეფის დრო გვიწევს და ამინდზე დამოკიდებული. ისე კი, ჩვეულებრივ, ადრინდელ საქართველოში, ყურძენს ოქტომბერში კრეფდნენ და წურავდნენ. ამაზევე მეტყველებს ამ თვის ორი სახელწოდება — სათულის თვე და ღირისთის თვე. ვენახის და ღირის თვისებებს მემარნე სინჯავდა. ვახტანგ VI-ის დასტურლამალში ნათქვამია, რომელიც „მემარნე მოიწონოს და ირჩიოს და მოინდომოს“, ის უნდა დაწურონ კიდევ. ყურძნის კრეფას თავის დათქმული დრო ჰქონდა და დიდხანს არ უნდა გაგრძელებულიყო. ერთი და ორი კაცი ამ შრომატევად საქმეს ვერ აუვიდოდა. მეზურესა და მესთველეს გარდა ამ საქმეში საკმარისი რაოდენობის ხალხი იყო ჩაბმული. მტევანს ან ხელით წყვეტდნენ ან დანით ჭრიდნენ და ფაქიხად აწყობდნენ მოცულობით დიდსა თუ მცირე ჩასანყობში. ყურძენს ჯერ კალათაში აწყობდნენ, კალათა რომ გაივსებოდა, გოდორს მოიკითხავდნენ. სულხან-საბა განგვიმარტავს, კალათა მცირე გოდორიაო. იმერეთში გოდორის მაგივრობას გიდელი სწევდა. გიდელს გურიამი და სამეგრელოშიც იყენებდნენ. ხეზე ასული კაცი გიდელს რომ გადავსებდა, ნახვრეტებში თოქს გაუყრიდა, ქვემოთ ჩამოუშვებდა და ჩასახებდა: „ა

გიდელიო... ვის არ მოუსმენია გურული ფოლკლორის მშვენიერება, შესანიშნავი სიმღერა „ა გიდელი...“ ამ სიმღერაში რიტუალური მოთხრობისთან ერთად გლეხკაცის უტყუობა და სიჯიუტეც გამოსჭვივს. ეს თავისებური შრომის ჰიმნია, რომელსაც სიხარული და ახლისქმნის ენთუზიაზმი ახლავს. და აი დადგა ჟამი წნევისას! სიტყვა „წნევა“, მამინ გაჩნდა, როცა ერთად დაგროვილი ყურძნის ჭყლეტას და დაწურვას მიჰყვება ხელი. საწნეველი ანუ საწნახელი, ქართლ-კახეთში მოგრობოთხეუთა ქვიტიკრისგან გაკეთებული აუზია. მისი ფსკერი ერთ მხარესა დაქანებული და ბოლოში დანურული ყურძნის წვენის გამოსასვლელად ღარი აქვს გაკეთებული. საწნეველი ჩამდგარი მამკაცები ხელხელგადახვეული ერთად წურავდნენ ღირის. ეს მნიშვნელოვანია მოსთვლის თავისებური აპოთეოზია. მშვენიერი ფერხულია, თანახმიერებით და თანადგომით გამოჩენილი. საწნახელს სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა სახელი ჰქონდა: ქართლ-კახეთში მას ნავსაც უწოდებდნენ, იმერეთში, საწნახელი და ონჯარო, რაჭაში — ხორგო და ჩაჭრილა, გურია — სამეგრელოში — ოჭინახი, ჯირაქვა და ჯერ უკი. ყურძნის დანუჩას თავისებური ნესები და ტექნოლოგია აქვს. მწურავი

ცდილობს ჭაჭა და კლერტი საწნახელში დარჩეს, წვენი კი ღარში ჩაედინოს. XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში კახეთში ამ მიზნით „საწნახლის ლატანს“ (საბა) იყენებდნენ. ამ ლატანს თუ ლასტს ერქვა ტოპკირი. ტოპკირი საცერის მსგავსი მოწყობილობა იყო. რაღა თქმა უნდა, საქართველოს ყველა კუთხეში ყურძნის წურვის თავისებური გამოცდილება არსებობდა. ვთქვათ რაჭაში იყენებდნენ საწნახს, რომელსაც ჭახრაკი ერქვა. ჭახრაკი საკმაოდ რთული მოწყობილობა გახლდათ. სირთულის თვალსაზრისით მას არც სხვა რაჭული საწნახი — წვერი ჩამოუვარდებოდა. საერთოდ, საწნახე მოწყობილობებს საქართველოში თავისი ისტორია აქვს. ყოველ კუთხეში განსხვავებული სტრუქტურის მქონე მოწყობილობები არსებობდა. შესაბამისად მათ თავიანთი სახელწოდება ჰქონდათ. უძველესი საწნახი იყო საქაჩავი, იგივე საქაჯავი, ან საქაჯველი, რომელიც თავ აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში ხმარობდნენ. ჭახრაკს (უკვე ვახსენეთ) რაჭის გარდა გურიამიც იყენებდნენ; წვერიც უკვე ვახსენებულა; არსებობდა კიდევ ხარხინი, იგივე ხარხინი, თუნდაც იმერეთში იმერეთსა და რაჭაში გამოიყენებოდა. ბუნებრივია, ყურძნის წვენს აწყობდა სჭირდებოდა, ე.ი.



ინგა ჯავახიშვილი

ჩემთვის პოეზია ემოციის გამოხატვაა...



„ჩემთვის პოეზია ადრეული ასაკიდან ემოციის გამოხატვა იყო. უცხოეთში ცხოვრება აქ არაფერ შუაშია. უცნაურია, რომ ბოლო წლებში ჩემს საყოველთაო ტკივილს ხშირად ნოსტალგიას აწერენ, რაც უხერხულობის და უსამართლობის განცდას მიეძმის. მე ვწერ, რაც თავი მახსოვს, ჩემი პიროვნება ბავშვობიდანვე წერიტ ჩამოყალიბდა და ტკივილის ან ემოციის დაკავშირება სიტყვა „უცხოეთთან“ გადაჭარბებულად მიმაჩნია. ყველა ავტორი იზრდება, იცვლება, სხვა განზომილებებში გადადის და ასეა ჩემს შემოქმედებით გზაზეც. დაახლოებით ასეთ შემოქმედებით ზრდას და მსხვერველს განვიცდიდი ალბათ, საქართველოში რომ მეცხოვრა, რადგან ჩემი შინაგანი გზები ნებისმიერ ქვეყანაში ჩემი გასავლელი იქნებოდა.“-წერს ირმა ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში. ამ სიტყვების მიუხედავად, პოეტური ტკივილი მაინც უფრო გამძაფრებულა გერმანიაში, სადაც ის საქართველოდან საქართველომდე ცხოვრობს.

რამდენიმე დღის წინ, ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, რაიონში ჩამოსვლიდან მეორე შეხვედრა გაიმართა პოეტი ირმა შილაშვილთან, ეს შეხვედრა იყო და გამოსამშვიდობებელი საღამოც- მეორე დღით კი, ირმა თავის მცირეწლოვან ვაჟებთან: ლუკასთან და ალექსანდრესთან ერთად გერმანიაში გაემგზავრა. მუზეუმის ეზოში გამართულმა საღამომ მეტად ამაღლებულ ვითარებაში ჩაი-

რა, ირგვლივ ემოციები არ ცხრებოდა. ლონისძიების ორგანიზატორმა და წამყვანმა თამილა ლობჯანიძემ იმდენად ბევრი ლამაზი, თბილი და ამაღლებელი სიტყვები უძღვნა პოეტს, იმდენი ლექსი წაიკითხა ახალგაზრდა პოეტმა ქეთევან ნათელაძემ ირმას პოეზიიდან, რომ დროდადრო აქეთ-იქიდან ქვითინსაც გაიგონებდით. საღამოს დასასრულს, მინველ სტუმრებს მიეცათ სამუალები, თბილი სიტყვები საგზალად გაეტანებინათ ირმასთვის შორეულ გერმანიაში.

ქეთევან მჭედლოშვილი: აქ უკვე თითქმის ყველაფერი ითქვა თქვენი პოეზიის შესახებ, მაგრამ მეც მივლოდა, თბილი და ალერსიანი სიტყვები მეთქვა, რათა მარცვალ-მარცვალ გაიყოლოთ ჩვენგან გერმანიაში და იცოდეთ, რომ მუდამ გვახსოვხართ, გვიყვარს თქვენი პოეზია, ვინერთ და ვიმახსოვრებთ თქვენს ლექსებს. გამახსენდა ერთი თანამედროვე პოეტის ლექსიდან სტრიქონები: „რა ხანია სიყვარული შედგა ბერად, ქვეყნად ყველა დაივიწყა ცხადია, რა ხანია პოეტები, როგორც ძველად, რუსთაველზე ფეხით აღარ დადიან“...

მე მეამაყება, რომ თქვენ დადისარ ფეხით, მოდიხართ ჩვენთან ხალხში და დიდი სიყვარულით გვაკვებთ ყველას, თქვენს პოეზიაში არ იგრძნობა სიყალბე, ყველა ლექსი არის უშუალო და სინაზით სავსე.“

პოეტს მოესიყვარულა და გულთბილად გამოემშვიდობა ღვანლმოსილი პედაგოგი და ირმას მასწავლებელი ქალბატონი ნანული ნატროშვილი, - „როდესაც გავიგე, რომ ჩემი დათოს მეუღლესთან დიდი ხნის ნაცნობობა გაკავშირებდათ, მივხვდი, რომ ჩემს ოჯახში კარგი ადამიანი მომვლია რძალად.“- დააყოლა მან ხუმრობით და ამ ნათქვამიდან დიდი გულწრფელობა იგრძნობოდა.

ირმა შილაშვილი თითქმის თხუთმე-

ტი წელია გერმანიაში ცხოვრობს და ყოველ წელს აუცილებლად ჩამოდის საქართველოში, „მე შენ გეკუთვნის“, ამბობს ის ერთ-ერთ ლექსში „ბარათი საქართველოს“ და მართლაც, არ შეუძლია მის გარეშე ცხოვრება, აკი ყველა შეხვედრაზეც აღნიშნავს, რომ უცხოეთში იმ იმედით ცხოვრობს, რომ ოდესმე, როცა „დადგება ჟამი“, აუცილებლად დაბრუნდება სამშობლოში თავის ოჯახთან ერთად.

წელს ირმა 26 ივლისს ჩამოვიდა საქართველოში, 29 ივლისს „იმედის დილაში“ იყო მინვეული, ხოლო იმავე საღამოს მისი ახალი მეხუთე კრებულის „ორშაბათის“ პრეზენტაცია გაიმართა მწერალთა კავშირში. შემდეგ „ჩვენთან დაბრუნებულს“, რაიონის ელექტორატმა პირველი თბილი შეხვედრა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოუწყო, სადაც ირმამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მშობლიური კუთხის აუდიტორიასთან შეხვედრაა.

იყო პოეტი, მეცნიერი და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდნენ ორ ქვეყანას, -გერმანია და საქართველოს შორის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით, ასეთ ახალგაზრდა ასაკში, ფიქიქრობთ, ბევრია, მაგრამ ეს ყველაფერი ირმა შეძლო, თანაც ძალიან წარმატებულად. მართალია, ის თავისი პიროვნული თვისებებით მოკრძალებული და თავმდაბალია, არასოდეს ამაყობს



მიღწეული წარმატებებით, მაგრამ, ჩვენ, მისი ახლობლები, მეგობრები, თანაქალაქელები ვამაყობთ მისი ბიოგრაფიით, ღირსეულად განვლილი ცხოვრების წლებით და ველით კიდევ უამრავ წინსვლასა და წარმატებას.

ელზა ხარაშვილი

სუთი მართალი გარათი ქმარს

- 1 -
შორიდან მიეუწებ.
იმდენად უცხო ვარ
ცემი ნაწერებით და ჩემი
სიხმრებით
რომ ვიცი, უოველთვის გული
გეკუმშება
და დარდად ამოგდის
თვალებთან წამწამი. თითებთან
ფრჩხილები.
შორიდან ვიწეები.
ვიხრები. ვსწორდები
და შენკენ მოვლავ გრძე-
ლი ფარსავით
ვევლაფერს, რაც მიუვარს,
რაც ჩემი ნათელი
სულიდან სიტყვების ბაღა-
სად ამოგდის.
უოველთვის მიუვარდი...
სეცამიც, მიწასვეც
და შენთან შესვედრის მსყე-
ბით ვხარობდი.
- 2 -
შენი სახლი ვარ-
აგოშენე უოველდღიური
საცხოვრისი
დავოფინე: შესასვლელში
მარტილს ქვის ნამტვრევი,
აივანთან სორბლის სიყუით-
ლეკა
შუა ოთახში ნატვრით სავსე
ვარცლი დაგვიდგი.
ფანჯრები დამჩნა-აღარ ვიცი

ფარდის ნაცვლად ლექსიანი
ქალღლები ავიკრა თუ
უბრალოდ სიტყვა მივაწებო
ფანჯრის მინასზე.
მასსოვს, მოვწონდა ჩემს
სუნთქვაში მძინარე ლავა
და ჩემი გრძელი, დარდიანი
მოხსხვევები,
მაინც ამბობდი, რომ ქალები
ერთმანეთს ვგავართ
წრეტენსიებით, ნერვიული,
მშრალი ხელებით,
რომ ვეველას სულზე დაგვი-
დის წვიმა
რადანცაინი - ლურჯი ან
მწვანე,
რომ აბა როგორ წაგვაქცევს
ქარი
ასე ძალიან ხეების მგვანებს,
რომ ვღლით გარშემო კაცე-
ბის მოდგმას
როდესაც ველთან ეგოიში
ცრემლად გვაწევა...
მაგრამ რატომღაც მაინც
სახლად ამომიხრე
და მოვწონს, როცა ფანჯარა-
ზე სიტყვებს ვაწეებ.
- 3 -
დიდი ხანია, სამი რამე კარ-
გად გამოგდის:
წერა, ტკივილი შეუქვა და
გრძელი დუმილით
დამორჩილება შენი ღრმა და

ლურჯი თვალების;
დიდი ხანია, რაც მიწოდებ
ზირველ ნახევარს
და გებრალბები. და ხანდახან
არც გებრალბები
როცა ვცდილობ, რომ მსა-
რეულის როლი მოვიტო
და დაწვვა ტაფა, ანდა კვერ-
ცხი, ანდა წავიდე
აღვლევებული სასეირნოდ,
რადგან გაწევილი
და შენი გრძელი მოლოდი-
ნის ცოდვა დავიდე.
დიდი ხანია, აკვირდები,
როგორ მეშლება
ბაგიდან ლექსი და თავიდან
თმების თავშალი
და თვალებიდან გრძელი
სევდა როგორ ეშვება
მრგვალი მიწისკენ, რომ
ბაღახის სუნი წაშალოს
და გითხრას, როგორ ვარჯი-
შობდა მთელი ცხოვრება
რომ უოფილიყო თეთრი
მიწა-შენი ნაწილი,
როგორი თმენით მოელოდა
გამეორებას
ამ სამეაროში-ხანდახან რომ
ასე აწილებს.
- 4 -
(ცოლის დღიური)
მველებური ვარ
და, შენც ასე,
მველებურად, გულსბრევი-
ლოდ,

ლამასად გეტრფი,
მამრი ხარ და ჩემს გრძობე-
ბში
რას გაურკვევი.
თანაც უცხოდ წერ, უცხოდ
გტეივა,
უცხოდ საუბრობ
და როცა სუნთქავ-
მკერდზე უცხო ღრუბლები
დაგდის.
მაინცდამაინც შენს სიტყვებ-
ში შემოვსეცე
და თავბრუც უცხოდ,
სიტყვასავით მართლად
დამეხვავ;
ვერ მოვინელე, რა ვქნა,
დღემდე ის სიტყვისფერი
და შეცნისფერი თავბრუსხვევა,
ვერ დავიწინდე მდებრის
ცრემლში ამოვლებული
ზოეტური და გულსბრევილო
გულის ღარები,
ვერ შევეგ უოველდღიურ,
მსუბუქ ცხოვრებას
და სისხლშიც ეჭვის გრძელი
ჭია დაიარება
და რამდენჯერაც არ უნდა
მიტხრავ:
ჩემი მეორე ნახევარი,
ან უფრო სწორედ
ჩემი ზირველი ნახევარი
ნამდვილად ხარო,
ხუსტად იმდენჯერ საუვედუ-
რით მოვიბრუნდები
და ვეფხვის მხერით გიწა-

სუსუბ
რომ შენს მითებზე დიდი არის
ეს სიყვარული,
რომ მეველ ჩრდილებში ორი-
ვენი ზატარად ვჩანვართ.
- 5 -
ხანდახან სხეულს თუ ასც-
დები-
კედლიდან გადმოსული ჩრ-
დილები დაგანჩობენ.
მე ამ ჩრდილებმა მასწავლეს,
რომ მეტისმეტია
ასე ძალიან მიუვარდე და
მჯეროდეს შენი.
ხანდახან სიცხე ამიწევა და
ისე ვცანცასებ
ვერაფერს მშველი-
ვერ მანერებ-
ლექსად მახველებს ათი ათა-
სი საევედური
და ეველზე გაბამ საკუთარ
მკლავებს
და გინასკავ მკლავებს
ბანტივით.
რომელი ქალი იქნებოდა
ნეტა მარტივი,
რომელი ქალი განსწავლიდა,
რომ სათვალის მიღმა მიწაა
და არა ციდან ჩამოშლილი
ღრუბლის ნამტვრევი...
მივდივარ.
შენ კი სხეულს ასცდი.
და რომ ასცდები,
საწერ მაგიდან გადახედე-
ჩემით დამტვრეილს.

ანსამბლი „შირაქი“ საფრანგეთიდან დაბრუნდა

სულ ახლახანს ანსამბლი „შირაქი“, ამჯერად უკვე ანსამბლი „ქიზიყი“ საფრანგეთიდან, კერძოდ, პარიზიდან დაბრუნდა, სადაც ისინი სიმღერისა და ცეკვის მეცხრე საერთაშორისო ფესტივალზე იმყოფებოდნენ. ანსამბლმა ფესტივალზე საკმაოდ მნიშვნელოვანი პრიზი „გრან პრი“ მოიპოვა და საქართველოში წარმატებული დაბრუნდა. ფრანგული ვოიაჟის შესახებ გაზეთი „შირაქი“ ანსამბლის ხელმძღვანელს ალექსანდრე გაბრიელაშვილს და თვით ანსამბლის წევრებსა და მშობლებს ესაუბრა.

- ბატონო ალექსანდრე, მოგიყვებით თქვენი ანსამბლის საფრანგეთში ვიზიტის შესახებ, რამდენი კონცერტი გამართეთ და რა პროგრამის ფარგლებში იმყოფებით პარიზის ულამაზეს ქალაქში?

- ჩვენი ფრანგული ვოიაჟი, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ იყო მათვლილი, საქართველოდან რამდენიმე ანსამბლის მონაცემებს აგზავნიდნენ მონაცემით, ჩვენც გავეზავნეთ ჩვენი მონაცემები, პირობა იყო შემდეგი, - კოლექტივებს შერჩევით ინვესტა ფრანგული მხარე, საბელთიეროდ, დადებითი პასუხი მივიღეთ და მიგვიწვიეს ფესტივალზე, სადაც „ჯორჯიულს“ გარდა, რო-

დიოდა დარბაზიდან, როცა ჩვენი ანსამბლის წევრი თორნიკე ოზბეთელაშვილი მუხლებზე ცეკვით წრეზე შემოუვლიდა ხოლმე და რბაზს, ხალხი ფეხზე დგებოდა და ტაშს უკრავდა, ისე მოსწონდათ ეს ნომერი. ცეკვა „ფარიკაობაში“ კი შეუდარებელი იყენებოდა ერთეულ ჩერქეზიშვილი და გიორგი თურქესტანიშვილი, რომელსაც ასევე ფეხზე წამომდგარი შეხვდა ფრანგული საზოგადოება! ოვაციები არ წყდებოდა ცეკვა „მთიულურში“ ლუკა ქისტაური-სა და ალექო ობოლაშვილის გამოსვლის დროსაც. ფესტივალის გახსნა და დახურვა ერთსა და იმავე ქალაქში მოხდა.

- საინტერესოა, რა პროგრამით წარსდებით მყოფების წინაშე, რამდენი კონცერტი ჩატარეთ სულ და რომელ ქალაქებში მოგინათ გამოსვლა.

- დავინწყით ქართული ცეკვა „დაისით“, შემდეგ მოჰყვა ცეკვები „აჭარული“, „ხორუმი“ „ნარნარი“, „სვანური“, „ქალთა ხევსურული“, „სამაია“, „რაჭული“, „ფარიკაობა“ და დავამთავრეთ ცეკვა „მთიულურით“. ვიზიტისას თან მყავდა წყვანილი საგარეო-ჯოჯოხეთი ბიჭი, რომელიც ძალიან კარგად უკრავს ერთდროულად ორ სალამურზე და ცეკვების

დაბეჭდილი, ძალიან გამიხარდა, ერთადერთი რაც შევნიშნე, ისინი ან ჯორჯიულსს გვეძახდნენ ან კავკასიულსს, საქართველოს ნაკლებად აღნიშნავდნენ, „ქიზიყი“ კი წასვლამდე იყო, მათ სურდათ რომ არა რომელიმე ადგილის სახელწოდებით წავსულიყავით, არამედ ჩვენი მხარის სახელი აღეწინაშა, ქიზიყი რომ ვუთხარი, მოეწონათ და მაშინვე „ქიზიყად“ დაგვაფიქსირეს, სცენაზეც ასე წარგვადგინეს, წასვლამდე ჩვენ გვექონდა კიდევ ამის მცდელობა, რომ „ქიზიყი“ დაგვექმია ანსამბლისთვის. ახლა ასე გადავწყვიტე, დიდების ანსამბლს „ქიზიყი“ შევარქვი, ხოლო პატარებში ისევ სახელწოდება „შირაქი“ დარჩება. ვფიქრობ, ორივე კარგად შეხატული სახელია ჩვენი მხარისთვის, კარგად გამოგეთ, უკვე თითქმის ოცი წელია ამ რაიონში ვმოღვაწეობ და ვცხოვრობ ოჯახით, ამიტომ, მეც შევისისხლობოც და საკუთარივით შემეყვარდა ეს მხარე.

ნათია თავაძე, ანსამბლის წევრი, - „საფრანგეთში მოგზაურობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ გამართეთ კონცერტები სხვადასხვა ქალაქებში. მყოფები ალფრთოვანებას ვერ მალავდა ჩვენი შესრულებული ნომრების შემდეგ, იყო ოვაციები, რომელიც ჩვენთვის დიდი სტიმული იყო. საფრანგეთში ყოფნის ბოლო ორი დღე, ჩემი ოცნების ქალაქ პარიზში გავატარეთ. ეს იყო მართლაც დაუფიქრებელი დღეები. ჩვენ ვნახეთ ეიფელის კოშკი, ტრიუმფალური თალი, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ვისიონი შენეულიზე. ასევე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ვენეციაში გატარებულმა დღემ, სახელდობრ, სან მარკოს მოედანზე მსაპუნა წვიმაში შევასრულეთ ქართული ცეკვები, ეს მართლაც დაუფიქრებელი დღეები იყო. ამ მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები მთელი ცხოვრება გამეგება, ამისთვის დიდი მადლობა ალიკა მასნაფეშვილს, ჩვენ მშობლებს და ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ მოგზაურობის ორგანიზებაში.“

ანი ჩალახეშვილი, ანსამბლის წევრი-კონცერტი გვექონდა ყოველდღე და დავდიოდით სხვადასხვა ქალაქებში, ვიყავით Shato ene leviei-ში, სადაც ვიცეკვეთ, ვნახეთ ეიფელის კოშკი, ასევე ღვთისმშობლის ტაძარი, ვისიონი შენეულიზე და გადმოვიხედეთ ტრიუმფალური თალიდან. მოკლედ, ძალიან კარგი დრო გავატარეთ. და რა თქმა უნდა, ყველა გავაცეთ ქართული ცეკვებით.

დიმიტრი ყოჩიაშვილი, მშობელი - „დედოფლისწყაროდან 25 ივლისს 2 სართულიანი კომფორტული ავტობუსით გავემგზავრეთ და საფრანგეთში



ჩასვლამდე დაგვეჭირდა 5 დღე, გზაში სწორად ვერვინებოდათ, ვათვალისწინებთ ქალაქებს, გავიარეთ თურქეთი(სტამბოლში ვნახეთ ხიდი,რომელიც ევროპასა და აზიას ერთმანეთთან აკავშირებს),გავიარეთ ბულგარეთი,რუმინეთი, დავათვალისწინებთ მისი დედაქალაქი-ბუქარესტი, რომელიც ყველას ძალიან მოგვეწონა! უნგრეთში ვნახეთ ცნობილი ბალატონის ტბა, რომელიც ძალიან დიდი და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ვნახეთ ვენეცია, რომელიც განუმეორებელი თავისი ძველი სახლებით, გონდოლებით და მასზე მდგარი გონდოლიერებით, ვინრო ქუჩებშია და უამრავი არხებით, სან- მარკოს ცნობილი მოედნით და მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ტურისტებით, უამრავი პატარ-პატარა კაფეებითა და სუვენირების მაღაზიებით...საფრანგეთში, კერძოდ ბურგუნდიის მხარეში, ქალაქ კლამსიში, ბურგუნდია მეღვინეობისა და მევენახეობის მხარეა, როგორც ჩვენთან კახეთი! იქ ექვსი დღე დავყავით და სხვადასხვა ქალაქებში გვინვეს კონცერტების ჩატარება, ბოლო ორი დღე კი, პარიზში დავყავით! პარიზი ულამაზესია, მუდმივი დღესასწაული ქალაქი! ვნახეთ ეიფელის კოშკი, ტრიუმფალური თალი, ლუვრი, დისეილენდი, გავისიონეთ ელისეს მინდვრებზე, ვნახეთ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ბავშვობაში წავიკითხე ვიქტორ ჰიუგოს ეს ნაწარმოები და განსაკუთრებული განცდით ვათვალისწინებდი! ბავშვებმა ძალიან იხალისეს. შემდეგ შინისაკენ წამოვედით გერმანიისა და ავსტრიის გავლით(სულ 9 ქვეყანა

გამოვიარეთ). ყველა ძალიან კმაყოფილი დარჩა, ამისათვის დიდი მადლობა უნდა მოვუხადოთ ბატონ ალექსანდრე გაბრიელაშვილს, ლალი იაკობიშვილს, ყველა მშობელს და ანსამბლის ყველა გულშემმატყვიარს.“

უახლოეს მომავალში, როგორც ალექსანდრე გაბრიელაშვილისგან მოვისმინეთ ანსამბლი „ქიზიყი“ დედოფლისწყაროელი მაყურებლის წინაშეც გეგმავს საფრანგეთში ჩატარებული კონცერტის პროგრამის კოპირებას, სიახლე იქნება ისიც, რომ კონცერტის დაწყებამდე სცენის დიდ ეკრანზე დედოფლისწყაროელი მაყურებელი იხილავს მოკლე ვიდეო-კოლაჟებს იმ ჩანანერიდან, რაც საფრანგეთში ჩატარებული კონცერტებზე მოხდა, - „გვინდა ყოველგვარი გადაჭარბების და სიტყვების გარეშე ვაჩვენოთ ჩვენს ხალხს ვიდეო ჩანანერი, ფრანგულენოვანი იქიდან, თუ როგორ შეგვცხვდა ქართველებს ფრანგი მაყურებელი და რა ოვაციები გამოხატეს ჩვენს მიერ გატანილი ცეკვების მიმართ,“-აღნიშნა ალექსანდრე გაბრიელაშვილმა.

სასიხარულოა, რომ ჩვენს რაიონში არსებობენ ანსამბლები, რომლებსაც ჩვენი რაიონის სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთ გააქვს. მისასალმებელია, რომ ასეთი ანსამბლები ჩვენს მომავალი თაობებს ლამაზ ქართველებად აყალიბებს, ზრდის და ამასთანავე მათ ქართულ- ხალხურ კულტურასა და ტრადიციებს ასწავლის. ვულოცავთ ანსამბლ „ქიზიყს“ მორიგ წარმატებულ ტურნეს და კვლავაც წინსვლას ვუსურვებთ.

ლალი მხრიშვილი



გორც ჩვენ იქ გვინოდებდნენ, იაკუტელების ცეკვის ანსამბლიც იღებდა მონაწილეობას. მინვეულები ვიყავით 30 ივლისიდან 4 აგვისტომდე, მათი კულტურის მუშაკებს უკვე წინადაწინ ჰქონდათ ნამუშევარი ჩვენი კონცერტებისთვის, ჩასვლისთანავე ქალაქებში აფიშები დაგვცხვდა გაკრული, სახელწოდებით „სიმღერისა და ცეკვის კონცერტი იაკუტელებისა და კავკასიელების მონაწილეობით!“ ბილეთების საკითხიც წინადაწინ მოგვარებული იყო. უკვე გაყიდული დაგვცხვდა ყველა ბილეთი, ამგვარი ყურადღება, რა თქმა უნდა, გავციხარდა. ყველაზე მეტად კი, რაც ძალიან გაუხარდათ ბავშვებს და მეც, მათ ხელმძღვანელს, „გრან პრის“ დიპლომის მოპოვება იყო, რომელიც სავსებით დავიმსახურეთ.

- საინტერესოა, როგორ შეგვცხვდათ ფრანგული საზოგადოება, ცნობილია, რომ უცხოელები გულგრილი არ რჩებიან ხოლმე ქართული ცეკვების მიმართ!

- ფრანგები ასეთები არიან, თუ არ მოეწონებათ, ტაშს არ დაგიკრავენ, თავიდან ნაკლები ტაში იყო მათგან, თუმცა, მერე ისეთი ოვაციები წამოვიდა, ადღენს ნამდვილად არ მოველოდით. განსაკუთრებული ემოციები მო-

შუალედში ის გამოგვეყვავდა და ფრანგული საზოგადოებას ქართული მელოდიების პოპულრით ატკობდა, რითაც ასევე ძალიან მოიხიბლა მაყურებელი. სულ შვიდი კონცერტი ჩავატარეთ, მოხდა ისე, რომ ერთ დღეს ორი კონცერტის ჩატარებაც მოგვიწია. ფესტივალის გახსნა და დახურვა ერთსა და იმავე ქალაქ ლუარაზე მოხდა, აქ ამ სახელობის მდინარეა, რომელზეც ქალაქია გაშენებული. ასევე მაყურებლის წინაშე წარვსდებით ქალაქ შალეში, გარშიზში და სანსერეში, ესეც საფრანგეთის ცენტრია, მხოლოდ ღვინის მწარმოებელი ადგილია, მისივე სახელწოდების ღვინოც არსებობს იქ,რომელიც ძალიან ცნობილი ბრენდია საფრანგეთში.

-რამდენადაც ვიცით, საკმაოდ ცნობილია გაზეთმა საფრანგეთში თქვენზე დანერა სტატიები და ეს თქვენი იქ ყოფნის დროსვე იხილეთ, ამასთან, არა „შირაქის“ სახელწოდებით, არამედ „ქიზიყის“ სახელით მოგისხვნიებენ.

-კი, ქართველების იქ ყოფნა არ გამოპარვიათ, იქაურ გაზეთებს და ჩემდა გასაოცრად, ორგანიზატორებმა წამოსვლამდე გაზეთებშიც კი მომართვეს, სადაც ჩვენი ანსამბლების ფოტოები და ჩვენს შესახებ სტატიები იყო



11 სექტემბერი - თავის კვითა იოანე ნათლისმცემლისა

მოახლოებულიყო ჟამი მესიის განკაცებისა, რადგან სამყაროს თავისი დაცემის უკიდურეს ზღვრამდე მიეღწია. წინასწარმეტყველების თანახმად კი, სწორედ ამ დროს უნდა შობილიყო მხსნელი, ზეცისკენ რომ წარუძღვებოდა დაცემულ კაცობრიობას. მაგრამ მანამდე, კვლავ წინასწარმეტყველების თანახმად, უნდა დაბადებულიყო ის, ვინც განამზადებდა კაცთა გულს მაცხოვრის მისაღებად.

...და იშვა იოანე ნათლისმცემელი.

იოანეს შობიდან გავიდა რამდენიმე თვე და უსჯულო ჰეროდემ, იესო ქრისტეს მოკვლის მიზნით, ბეთლემში ყველა ორ წლამდე ასაკის ვაჟის ამოწყვეტა ბრძანა. 14 000 ყრმა მოისრა იმ დღეს ბეთლემში და 14 000 უბინო სული ქრისტესთვის წამებულთა პირველ დასად იქცა. ზაქარიამ, იოანე ნათლისმცემლის მამამ, ცოლ-შვილი უდაბნოში გახიზნა, თავად კი იერუსალიმში დარჩა მღვდელმთავრის მოვალეობის აღსასრულებლად. იგი ჰეროდეს მემორებმა საკურთხევლს დააკლეს იმის გამო, რომ არ გაამხილა გახიზნული შვილის ადგილ-სამყოფელი. ელისაბედი და იოანე კი უდაბნოში დარჩნენ. ელისაბედი იქვე აღესრულა, ანგელოზისაგან დაცული "ყრმაი იგი აღორძინდებოდა და განმტკიცდებოდა სულითა. და იყო უდაბნოს, ვიდრე გამოცხადებამდე მისა ისრაელის მიმართ" (ლუკა, 1, 80); იკვებებოდა თაფლითა და მკალით, "ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავი-

საი წელთა მისთა" (მათე, 3, 4).

გამოეცხადა ისრაელს, რათა ექადაგა ნათლისღება სინანულისა, ცათა სასუფეველის მოახლოება და ნათელ-ეცა თავად განკაცებული მაცხოვრისათვის. ქადაგებდა, სინანულით განენმინდათ გზანი უფლისათვის, მონანულთ ნათელ-სცემდა იორდანეს წყლით, ხოლო ფარისეველთ და ღვთის მებრძოლთ ამხელდა: "ნამობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლვაი მერმისა მისგან რისხვისა?" (მათე, 3, 7)

წინასწარმეტყველების მიხედვით, იოანე ნათლისმცემელს ისევე უნდა ეუნყებინა უფლის მოსვლა ჯოჯოხეთში მყოფ მიცვალებულთა სულე ბისათვის, როგორც აუნყა დედამინაზე მყოფთ. ამიტომაც მოახლოებული იყო მისი მონამებრივი აღსასრული.

ჰეროდე დიდის გარდაცვალების შემდეგ (რომელმაც 14 000 ბეთლემელი ყრმა ამოწყვიტა), რომაელებმა პალესტინა 4 ნაწილად დაყვეს და თითოეულს ცალკე მმართველი დაუნიშნეს. ჰეროდეს შუათანა ვაჟს, ჰეროდეს ანტიპას, გალილეა ერგო. მან გააძევა უფროსი ძმა, ფილიპე, გვარის მამამთავარი გახდა

და ძმას, ტიტულთან ერთად, ცოლიც წაჰგვარა - საკუთარი ცოლი, არაბეთის მეფის ასული, გააგდო და რძალი, ჰეროდიადა, გაადედოფლა. ამგვარი ქორწინების უფლება მეფეს მხოლოდ მაშინ ჰქონდა, თუკი ქალი ქვრივი და უშვილო იქნებოდა, მაგრამ ჰეროდიადას კანონიერი ქმარიც,

არ მოაკვლევინა, რადგან მართალ და წმიდა კაცად თვლიდა, თანაც, ხალხის ამბოხისა ემინოდა.

იბარებდა ხოლმე პყრობილს, ესაუბრებოდა და, მისგან შთაგონებული, მრავალ სიკეთესაც აღასრულებდა.

ჰეროდიადა კი მრისხანებდა და იოანეს მოკვდინება სურდა, მაგამ ვერ ახერხებდა, რადგან თავად ჰეროდე იცავდა იოანეს. დადგა ჰეროდეს დაბადების დღეც. მოიწვიეს გალილეის ყველა წარჩინებული უხუცესი და ოლქის მმართველი. დიდებული ნადიმი გაიმართა. ბოლოს სალომემ იცეკვა და აღფრთოვანებულმა მამინაცვალმა გერს ყველაფრის მიცემა აღუთქვა, რასაც კი მოსურვებდა.

დედისაგან წინასწარ დარიგებულმა სალომემ წმ. იოანეს თავი მოითხოვა. ჰეროდე შენუხდა, მაგრამ ფიცისა და თანამეინახეთა გამო პირობა ვეღარ გატეხა და ბრძანებაც გასცა - წმ. იოანეს გვიან ღამით საპყრობილეში თავი მოჰკვეთეს.

ბინძური სერი ჯერ ისევე გრძელდებოდა, როდესაც გამომთვრალ სტუმრებთან ლანგრით წმ. იოანეს ჯერ ისევე სისხლმდინარე თავი შეიტანეს. როგორც ზოგიერთები გვამცნობენ, მოკვეთილმა თავმა კვლავ ჰეროდეს მამხილებელი სიტყვები წარმოთქვა: "არა ჯერ არს შენდა,

ვითარმედ ცოლად გესუა ძმის ცოლი შენი". ყველა შიშმა შეიპყრო, სალომემ კი თავი ლანგრით დედას მიართვა. ჰეროდიადამ სიცილით წმიდა თავს ჯერ ენა დაუჩხვლიტა ქინძისთავით, ხოლო შემდეგ უწმინდურ ადგილას ჩაფლა.

წამებულის სხეული მონაფეებმა ცალკე დაფლეს, ხოლო თავი სასახლის სახლთუხუცესის ცოლმა, ჰუზომ, მალულად ამოთხარა, ჭურჭელში ჩადო და ელეონის მთაზე დაკრძალა. ღვთის რისხვამ არ დაახანა: ერთხელ, ზამთარში, სალომეა მდინარეზე გადადიოდა, ფეხქვეშ ყინული ჩაუტყდა და ჩავარდა ისე, რომ ტანი ყინულქვეშ, წყალში ჩაეკიდა, თავი კი ყინულს ზემოთ დარჩა. კვლავ "ცეკვადა" სალომეა, რომ ფეხი როგორმე ფსკერისათვის მიენვდინა, მაგრამ ვერ შეძლო. მანამდე ფართხალებდა, ვიდრე ყინულის ბასრმა პირმა ყელი არ გადაუჭრა. მისი თავიც ისევე მიართვეს ჰეროდიადას, როგორც ოდესლაც წმ. იოანე ნათლისმცემლის თავი.

არაბეთის მეფემ საკუთარი შვილის შეურაცხყოფა არ აპატია ჰეროდეს, მის წინააღმდეგ გაილაშქრა და დაამარცხა. განრისხებულმა იმპერატორმა ჰეროდე ცოლთან ერთად ესპანეთში გადაასახლა, სადაც ისინი ცოცხლად შთანთქა მინამ.

წმიდა იოანე ნათლისმცემლის თავი სამგზის სასწაულებრივად იპოვეს. ბოლოს კონსტანტინოპოლის კარის ეკლესიაში დააბრძანეს.

11 სექტემბერი მიძიმე მარხვის დღეა.



იარაღის ქურდობის ფაქტზე 29 წლის მამაკაცი დააკავეს

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში იარაღის ქურდობის ფაქტზე 29 წლის დაბადებული, ადგილობრივი ბიჭიკო მამიაური დააკავეს. გაზეთ "შირაქის" ინფორმაციით, მამიაური წარსულში სამჯერაა ნასამართლევნი და პატიმრობიდან ახლახან გათავისუფლდა.

წინასწარი ინფორმაციით, ბოროტმოქმედმა ვალიკო სულაშვილის კუთვნილი 4 სხვადასხვა ტიპის სანადირო იარაღი მისი საცხოვრებელი ბინიდან მოიპარა. პოლიციამ დაკავებული სოფელში მდებარე გმირთა მემორიალთან საექვო ვითარებაში შენიშნა. ამოღებული იარაღი ამავე სოფლის მკვიდრზე ვალიკო სულაშვილზე რეგისტრირებული აღმოჩნდა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დაზარალებული ივრის ქალებში მდებარე გოგი თოფაძის ნაქრძალის ხელმძღვანელია. მან იარაღის ქურდობის შესახებ სამართალდამცველებისგან შეიტყო, მოგვიანებით კი მასზე გაფორმებული იარაღი ამოიცილა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას შსს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს, მისი თქმით, რადგან ფულს ვერ მიაგნო, იარაღი ამიტომ წამოიღო.

როგორც სოფელ გამარჯვებაში აცხადებენ, ექვმითანილი წარსულში სამჯერვე ქურდობის ფაქტზეა ნასამართლევნი.

ილია მარტყოფლივილი

ზედნაღების გარეშე ხეტყის ტრანსპორტირებისთვის ჯარიმა იზრდება

სამწარმო მიზნებისთვის ხეტყის უკანონო ტრანსპორტირებასა და რელიზაციაზე სანქციები მკაცრდება. ზედნაღების გარეშე ხეტყის ტრანსპორტირებისთვის პირი 5 000 ლარით დაჯარიმდება, ხეტყე კი კონფისკაციას დაექვემდებარება.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ხეტყის ზედნაღების გარეშე ტრანსპორტირების შემთხვევაში, თუ მისი საბაზრო ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს, სამართალდამრღვევს ეკისრება მხოლოდ 500 ლარიანი ჯარიმა ხეტყის კონფისკაციის გარეშე.

სანქციების გამკაცრებასთან დაკავშირებით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ საგადასახადო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილების პროექტი უკვე შეიმუშავა.

სამინისტროს ცნობით, აღნიშნული კანონპროექტი საქართველოს მთავრობამ მოიწონა და საშემოდგომო სესიაზე განხილვისთვის პარლამენტს წარედგინება.

სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მერქნული რესურსის მოპოვებისას აუცილებელია შესაბამისი უფლების მიმნიჭებული დოკუმენტის აღება და დადგენილი საფასურის გადახდა. თუმცა, მოსახლეობისათვის აუცილებელი სამასალე და სამეშე მერქანი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შეღავათიან ფასში გაიცემა.

მათივე ცნობით, მოსახლეობას უფლება აქვს, სრულიად უსასყიდლოდ, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, პირადი მოხმარების მიზნით შეაგროვოს ტყის არამერქნული რესურსები (სოკო, კენკრა, ხილი, სამკურნალო მცენარეები და ა.შ) და ხის მეორეხარისხოვანი მასალები (ფიჩხი).

მონატრება

ინგა (მერი) ემრაშვილი

შვილო ინგა, ძალიან-ძალიან გვენატრები, რა მიძიმე და გაუსაძლისი ტკივილი ყოფილა შენი ამ ქვეყნიდან ნასვლა. წელს 20 აგვისტოს პირველად შევხვდით უშენოდ შენი დაბადების დღეს. 43 წლის გახდი ჩემო საყვარელო შვილო, რამდენი აუხდენელი ოცნება გაიყოლე, რამდენი სურვილი დაგრჩა შეუსრულებელი. შენმა ერთადერთმა შვილმა გურამიმ უშენოდ უნდა დაამთავროს მომავალ წელს საშუალო სკოლა. შვილო, რამხელა განახლებული სიმნარე იქნება ჩემთვის უშე-


ნოდ დარჩენილი შვილის სკოლის დამთავრება. შენ ხომ მის ბანკეტზე ოცნებობდი. როგორ გამორჩეულად უნდა მორთულიყავით დედა-შვილი. ეს ყველაფერი აუხდენელ ოცნებად დაგრჩა.

ჩემო საყვარელო შვილო, შენი ქმარ-შვილი დაუღალავად უვლიან და ეფერებიან შენს მუდმივ სამყოფელს. ჩემო შვილო, მე ყოველთვის და ყოველ წუთს შენს მოლოდინში ვარ. აკი შემპირდი საახალწლოდ ჩამოვალ, თუ არა საადგომოდ აუცილებლად, მეც გელოდე-

დედა მილი, შვილი გურამი, მუულე ზაზა ზურაშვილი, და-ძმა ლაშარა და კახა.

მონატრება

ზურა გობილაშვილი



ჩვენო ტკივილო და დიდო სიყვარულო, ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენ აღარ ხარ ჩვენს გვერდით. ძალიან გვენატრება შენი გვერდში დგომა, შენი გამხნელება. ამბობდი, შემოდგომა წლის ყველაზე ლამაზი და ბარაქიანი დროა, მაგრამ ჩვენთვის სექტემბერი მიძიმე თვეა. ეს თვე შენს ტანჯვას და სულიერ ტკივილებს გავსენებს, - შენს ფერმკრთალ სახეს და სველ თვალებს.

დედმდე კვლავ გელოდებით... მოლოდინი კი დაუსრულებელია, გვენატრები ძვირფასო, სულის შეძვრამდე გვენატრები, ზურა!.

შენი ოჯახი: შვილი გვანცა და მუულე მანი.

სიასლე ხელოვნების სკოლაში

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას სამხატვრო და მუსიკალურ განყოფილებაში.

სამხატვრო განყოფილებაში ჩარიცხებიან 9-12 წლის ბავშვები, შინსწავლიან შემდეგ საბნებს:

- 1 ხელოვნების ისტორია
- 2 ხატვა
- 3 ძირწვა
- 4 კომპოზიცია

სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელია.

მუსიკალურ განყოფილებაში „უნარების კლასში“ ჩარიცხებიან 7-8 წლის მოსწავლეები. „უნარების კლასის“ ბავშვის შემდეგ ჩარიცხებიან:

- 1. საფორტეპიანო განყოფილებაზე
- 2. სავიოლინო განყოფილებაზე
- 3. საგუნდო განყოფილებაზე
- 4. მუსიკის განყოფილებაზე

საგანი ფორტეპიანო ისწავლება ყველა განყოფილებაზე, სკოლის დასრულების შემდეგ გაიცემა ატესტატი.

„ფროსკლასალთათვის“ (9-13) წ. ისწავება ზოგადი მუსიკის განყოფილება. სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელი. გაცივება მოწოდებულია. ზოგადი მუსიკის განყოფილებაში მცირე ჯგუფური (3-4 მოსწავლე) და მოიცავს სამ სფეროს:

- 1. ფორტეპიანოზე დაკვრის დაკვრის კლასიკურ მეთოდს
- 2. ფორტეპიანოზე დაკვრის არაკლასიკურ მეთოდს(სმენით აწყობას)
- 3. მსოფლიო შედეგების გაცნობას ფერწერასა და მუსიკაში.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: 1. განცხადება, 2. ერთი ფოტო სურათი, 3. დაბადების მოწმობის ასლი.

ასეც ხდება!

როდესაც ტელევიზიით ვნახულობდი, ქალაქის სატინოების სახლებში როგორ მიდიოდნენ სხვადასხვა საქველმოქმედო აქციით სტუდენტები და საჯარო სკოლების მაღალი კლასის მოსწავლეები, ყოველთვის კეთილი შურით მმურდა. ყოველთვის ვოცნებობდი, ასეთი ყურადღება ოდესმე ჩვენს სატინოების სახლსაც ეგრძნო, თუმცა ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ეს ჩვენს რეალობაშიც მოხდებოდა... ერთ დღესაც ჩვენთან, სატინოების სახლში მოვიდა ახალგაზრდების ჯგუფი, მათ გვითხრეს, რომ ისინი თავად მოემსახურებოდნენ ბენეფიციარებს. ესენი იყვნენ: მერი დანელიანი- უნივერსიტეტის სტუდენტი, მარი კოდიაშვილი- სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, ზურა ტოკლიკიშვილი- სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი. ძალიან გაგვიხარდა და გაგვიკვირდა, ნუთუ შესაძლებელია, ჩვენთანაც მოხდეს ასე რამე?! -ვამბობდით, -მაგრამ თქვენ წარმოვიდგინეთ, რომ მოხდა!

ბენეფიციარებს ძალიან გაუხარდათ, რომ ასეთი ახალგაზრდები დაცქერიალენდნენ მათ გარშემო, ნეტა გენახათ, რა უანგაროდ, გულიანად ევლებოდნენ თავზე ბენეფიციარებს. მთელი ჩემი კოლექტივის და ბენეფიციარების სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ამ სტუდენტებს ჩვენთან, სატინოების სახლ „სავანეში“ სტუმრობისთვის და ესოდენ დიდი ყურადღების გამოჩენისთვის.

სატინოების სახლის დირექტორი, ციცო ლარჩიაშვილი.

დედოფლისწყაროში სართავური სპორტული ფესტივალი მიმდინარეობს

სპორტი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და „open fun football“-ის ერთობლივი პროექტით ბავშვთა სავსეთაში სპორტული ფესტივალი დაიწყო, რომელიც სამი დღე გაგრძელდება. პროექტში მონაწილეობს დედოფლისწყაროს რაიონის 200 ბავშვი, რომლებსაც დიდი რაოდენობით სპორტული ინვენტარი დაურთვდა. ღონისძიებამ რაიონის ცენტრალურ სტადიონზე აიღო სტარტი.



რამდენიმე ხნის წინ დედოფლისწყაროს მოსახლეობაში ავრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოსდა რაიონულ საავადმყოფოში გინეკოლოგიური კაბინეტი გაუქმდა და, აქედან გამომდინარე, კლინიკაში პარალიზებული გახდა სამშობიარო ბლოკიც, რის გამოც თითქმის ყველა მშობიარე სიღნაღის რაიონის, კერძოდ წნორის კლინიკებში გადაამისამართდა. აღნიშნული ფაქტი, რაც არ უნდა იყოს, არასასიამოვნო ამბავი აღმოჩნდა თითოეული ჩვენი მაცხოვრებლისთვის. ისეთი დიდი რაიონისთვის, როგორც დედოფლისწყაროა, რომლის ზოგიერთი სოფელი 80 კილომეტრის დაშორებითაა რაიონიდან, რაღა თქმა უნდა, ყოველად დაუშვებელია გინეკოლოგიური განყოფილების გაუქმება, რამეთუ სამშობიარო განყოფილება სასიცოცხლოდ სჭირდება ყველა რაიონს.

ამ ამბიდან რამდენიმე დღეში გინეკოლოგიის კონსულტაცია დამჭირდა, ზარის განხორციელებისას ექიმმა გინეკოლოგმა გულიკო გონაშვილმა მიპასუხა და დამარწმუნა, რომ სასწრაფოდ მიმელო მისი დახმარება. მართლაც გამოცხადდა, გინეკოლოგთან შესვლამდე ერთი

მადლიერება

ორსული იდგა რიგში, სამშობიარო პალატაშიც ორი ქალბატონი იწვა. ნანახითვე დავრწმუნდი, რომ მორიგი ქორი არ შეესაბამებოდა რეალობას. ქალბატონი გულიკო გონაშვილი ჩვეული სილამით, ღიმილით, ენერგიულობით აღსავსე შემოემეგება, ძალიან კარგად მიმიღო, მისი კონსულტაცია არაერთხელ დამჭირვებია, ყოველგვარი ფემილარობის გარეშე სხამაღლა ვამბობ, რომ მისი დიაგნოზი ყოველთვის უტყუარია, დანიშნულება კი, შედეგად. ამჯერადაც ასე აღმოჩნდა, მისი დანიშნულება ფრიად წამადგა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით მას. მასთან ვიზიტისას, საუბარში გამოვხატე ჩემი გულწრფელი სიხარული, რომ ისევ ფუნქციონირებდა გინეკოლოგიური განყოფილება, რაზეც ასეთი პასუხი მივიღე, -„კი, ხმები ტყუილად დაგვიყარეს, რაიონში გინეკოლოგიური კაბინეტი გაუქმდა და მშობიარობაც აღარ ხდებოდა, მთელი რაიონის პაციენტები და ექიმები წნორში გაიკრიფნენ,

მაგრამ მცდარ მოსაზრებებს ავრცელებენ. თქვენც ხედავთ, რომ აქ ვართ და არსად წავსულვართ, მუშაობაც ჩვეული ორგანიზებით მიმდინარეობს, როცა საკეისრო კვეთაა საჭირო, გია მოსულშიშვილს ვინვევთ, რადგან ისაა მონვეული ექიმი-გინეკოლოგი საკეისრო კვეთის დროს, როცა ბიოლოგიური მშობიარობაა, მაშინ კი, მე თავად ვიღებ მშობიარეს. ასეთ ხმებს ისინი ავრცელებენ, ვისაც სურს, რომ მშობიარეები თავისკენ მიიზიდოს, თუმცა წნურავის ექნება ილუზია, რომ აქ სამშობიარო განყოფილება აღარ იქნება, პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ რვა თვეზე მეტია, ხელფასი არ მიგვიღია „ადითისგან“, საქმის სიყვარული იმდენად ღრმად მაქვს გამჯდარი სისხლში, რომ ახლა უფრო ჩვეულზე მეტი ენერგიულობით ვასრულებ სამუშაოს.“ -მიპასუხა გულიკო ექიმმა.

მინდა აღვნიშნო, მართალია, ჩვენი საავადმყოფო კომფორტული, თანამედროვე სტანდარტების არაა და „ადითის“ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოხდა, რომ ამ კომპანიას შეენი-რა სამედიცინო სფეროში განსახორციელებელი ბევრი კარგი იდეა, მაგრამ ეს იმას როდის ნიშნავს, რომ იქ მომუშავე ექიმების პროფესიონალიზმს ხაზი გადავუსვით. ისინი თავის საქმეს მაინც არ ღალატობენ და ხშირად ენთუზიაზმზე მუშაობენ. არადა მედიკოსები სათანადოდაც უნდა იყვნენ დაფასებული და საჭირო პირობებზე უნდა შეექმნათ, რათა მათი მუშაობა ხარისხიანი გამოდგეს. ხშირად ისეც ხდება, რომ ვითომდა ამ ცუდი პირობების გამო, ჩვენ ჩვენი ექიმების პროფესიონალიზმს არ ვაფასებთ და სხვა რაიონებში ვავრბივართ, რაც ისევე და ისევე ჩვენ შემოგვიბრუნდება ბუმერანგით უკან და მივალთ იმ შედეგებამდე, რომ კლინიკის არ არსებობის საფრთხე ჩვენს რაიონს მართლაც დაემუქრება. ამჯერად, მოგვეხსენება ჩვენი რაიონის გამგებელმა, ირაკლი შიოლაშვილმა მთლიანად მოხსნა ეს პრობლემა და იმედს ვიტოვებთ, მომავალში ჩვენს რაიონში ექიმები სათანადოდ დაფასდებიან.

და ბოლოს, 13 სექტემბერს ექიმ გულიკო გონაშვილს საიუბილეო თარიღი აქვს, ის 60 წლის სრულდება. აღსანიშნავია, რომ იგი 1980 წლიდან ჩვენი რაიონული საავადმყოფოს გინეკოლოგია, რაც არანაკლები ღვაწლია, მით უმეტეს ამ სფეროში. ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მადლობა გადავუხადო კარგი პროფესიონალიზმისთვის, პაციენტებთან გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის, რაც ხშირად განკურნების ტოლფასია, რადგან, დამერწმუნეთ, ხშირად პაციენტისთვის ექიმისადმი რწმენის არსებობა და ექიმის კარგი დამოკიდებულება, ხშირად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მის მიერ დანიშნული წამალი. სწორედ ამ გულისხმიერებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო და მივულოცო მას დაბადების დღე, ვუსურვო თავის პროფესიონალიზმთან ერთად ყოველთვის ასეთი ენერგიული, ლამაზი და მომხიბვლელი ყოფილიყოს, დიდად სიცოცხლეს და უღვე სიხარულს ვუსურვებ გულიკო ექიმს თავის დიდ ოჯახთან ერთად.

პატივისცემით, ლალი მხერიაშვილი

ულოცავთ!

ზურაბ ბიკაშვილს!

გულწრფელად გილოცავთ დაბადების დღეს და საიუბილეო თარიღს. წლების განმავლობაში ზრუნავდით მოზარდი თაობის სულიერებაზე, მათ აღზრდაზე. იყავით სოფელ გამარჯვების კლუბის დირექტორი. დღეს, ამაგდარ კულტურის წარმომადგენელს 65 წელი გისრულდება. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ბამარჯვების ტერიტორიული ორგანოს (ბამეოპის) თანამშრომელი

იყიდება!

სასწრაფოდ იყიდება 20 ჰა სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი „კარაულკაზე“. მსურველები დაგვიკავშირდით

☎ 514 009 717.

ყურადღება

კაფე-მალაზია „პაპუჩინოს“ ესაჭიროება გამყიდველი და ტორტების და ნამცხვრების მცხობელი. უმჯობესია, ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება. მსურველებმა დარეკეთ

☎ 599 65 25 95.

ამინდი

ორშაბათი 09.09 დღე ღამე 17° 16°	სამშაბათი 10.09 დღე ღამე 17° 16°	ოთხშაბათი 11.09 დღე ღამე 17° 16°	ხუთშაბათი 12.09 დღე ღამე 17° 15°	პარასკევი 13.09 დღე ღამე 18° 16°	შაბათი 14.09 დღე ღამე 16° 15°	კვირა 15.09 დღე ღამე 18° 17°
---	--	--	--	--	---	--

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მხერიაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); ელა ხარაშვილი (სტილისტ-მწვეერი); ნათია გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწვეერი); მზია ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბდონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.